2022 წლის შუახევის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა - უფლება შესაძებლობაა

იდეის განაცხადის ფორმა

1. **პროექტის სახელწოდება: <u>შუახევის მუნიციპალიტეტში მუსიკალური ბენდის ჩამოყალიბება</u>**

2. **პროექტის განხორციელების: ადგილი დაბა შუახევი**

2.1.1. ფიზიკური პირი

სახელი/გვარი	ქეთი დავითაძე
დაბადების თარიღი	[redacted]
მისამართი (ფაქტობრივი)	[redacted]
პირადი ნომერი	[redacted]
საკონტაქტო ტელეფონი	[redacted]

2.1.2

საინიციატივო ჯგუფის სახელწოდება	შუახევის ბენდი
პასუხისმგებელი პირის სახელი/გვარი, საცხოვრებელი მისამართი (ფაქტობრივი),საკონტაქტო ტელეფონი.	ნინი დავითაძე, [redacted]
საინიციატივო ჯგუფის წევრების სახელი/გვარი, საკონტაქტო ტელეფონი	1.ლიზი დუმბაძე [redacted] 2.ნინი დავითაძე [redacted] 3.ქეთი დავითაძე [redacted] 4.ლიკა დავითაძე [redacted] 5.დინა ფუტკარაძე [redacted] 5.ელენე დავითაძე [redacted]

3. **არსებული მდგომარეობის/პრობლემის აღწერა (მაქსიმუმ 1 გვერდი)**

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალური ხელოვნების განვითარებისათვის არ არის შესაბამისი პირობები, მართალია, დაბის ცენტრში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა, სადაც სკოლაში სწავლის პარალელურად ხდება ხელოვნების საწყისებზე ნაწილობრივ დაუფლება, მაგრამ ეს მხოლოდ ექვსი წელი გრძელდება. ამის შემდეგ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს აღარ აქვთ საშუალება მისი შემდგომი-გაგრძელება- განვითარებისათვის. მიზეზი კი უამრავია .ჯერ ერთი, რომ სკოლაში სწავლის პერიოდი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ შორს, მაგალითად ქალაქში მიიღონ მუსიკალური განათლება .მეორეც გაკვეთილების შემდეგ ქალაქში წასვლა და მოსვლა შეუძლებელია სიშორის გამო. და, ასევე რთულია ტრანსპორტირებაც განსაკუთრებით ზამთარში დიდთოვლობის დროს. არადა ჩვენს მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრია ის მოსწავლე -ახალგაზრდობა რომლებიც მუსიკალური ნიჭით არიან გამორჩეულნი. ეს კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ , არაერთგზის გამოჩნდა სხვადასხვა ღონისძიებებზე სასკოლო თუ მუნიციპალურზე , სადაც დაქირავებული მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენებით შესრულებულ გამოსვლებში მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა წილად. თუ შეიქმნება ჩვენი მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე მუსიკალური“ ბენდი“ ეს დიდად შეუწყობს ხელს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე-ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას მუსიკალურ საქმიანობაში . და კიდევ უფრო ხელსაყრელი იქნება ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნება საგაკვეთილო პროცესის შემდგომ საათებში. ასევე მნიშვნელოვანია ისიც რომ დრო ფუჭად არ დაიკარგება და შესაძლებელი გახდება შესაძლებლობების გაზიარება და მისი შემდგომი სრულყოფა- რეალიზება. ამის აუცილებლობას ის ფაქტიც მოითხოვს, რომ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების დროს მუნიციპალიტეტის მერიას უწევს მოიწვიოს მუსიკალური გახმოვანებები. ასეთი ბევრი მაგალითი გვაქვს. მაგ: ფერების დღესასწაული, დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის დღე როცა მუნიციპალიტეტს მოუწია ბენდის მოწვევა სხვადასხვა ქალაქიდან, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული.

4. პროექტის აღწერა

გთხოვთ დეტალურად აღწეროთ პროექტის არსი

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისათვის, ტურისტებთან დახვედრისათვის, ბავშვთა გასართობი ღონისძიებების თუ სხვა მნიშვნელოვანი დღესასწაულების ჩატარების დროს არ აქვს მუსიკალური გაფორმების საშუალებები(კერძოდ არ ყავს მუსიკალური ბენდი, არ არის დასაკრავი ინსტრუმენტები და სხვა).საამისოდ მუნიციპალიტეტში ძალიან დიდი რესურსია მოსწავლე ახალგაზრდობის სახით, რომელთა მუსიკალური ხელოვნების შესახებ არაერთი ღონისძიება მეტყველებს ჩვენს მუნიციპალიტეტში ..იმისათვის, რომ შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე-ახალგაზრდების შესაძლებლობების სრულყოფა მოხდეს აუცილებელია მათი მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვა. საამისოდ კი უკვე არსებობს მობილურ მოსწავლეთა ჯგუფი, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ საქმიანობას, ხელს შეუწყობენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების ინტეგრაციას და მუნიციპალიტეტის ბაზაზე მუდმივმოქმედი ბენდის ჩამოყალიბებას. .ბენდში გაწევრიანებული მსურველი მოსწავლეები ფლობენ შესაბამის მუსიკალურ განათლებას (დამთავრებული აქვთ მუსიკალური სკოლა),მღერიან როგორც კლასიკურ ასევე ქართულ და უცხოურ სიმღერებს და მზად არიან თავიანთი შესაძლებლობები სხვებსაც გაუზიარონ.

ბენდს თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის სჭირდება მუსიკალური ინსტრუმენტები:

1. კლავიში (ელექტრო პიანინო)
2. დრამი
3. ელექტრო გიტარა
4. რითმის გიტარა
5. ბასის გიტარა
6. ჩეკიანი გიტარა
7. 5ც მიკროფონი მათ შორის ორი უკაბელო სამი კაბელიანი თავისი დასადგამებით
8. გამანაწილებელი პულტი

9. აქტიური დინამიკი ერთი დიდი ერთი პატარა
10. 5ც გიტარების გადამკეტი
11. ლეპტოპი (apple)
12. 3ც ყურსასმენი (Marshall)

5. პროექტის მოსალოდნელი შედეგები. *გთხოვთ დეტალურად აღწეროთ პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები*

ბენდში გაწევრიანების მსურველი მოსწავლე ახალგაზრდობა შესაბამისი მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვის შემთხვევაში მზად არის შექმნას მუდმივმოქმედი მუსიკალური ბრენდი რომელიც კლასიკური ქართული თუ უცხოური სიმღერებით დაამშვენებს მუნიციპალიტეტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს და არა მხოლოდ მუნიციპალიტეტში. ბენდი აპირებს სეზონური კონცერტები დადგას თემის საკრებულოებში, მიიღოს მონაწილეობა ბენდის კონკურსებში, ხელი შეუწყოს უმცროსი თაობების ჩართვას და მათი განვითარების ხელშეწყობას.

იდეის სავარაუდო ღირებულება: 30000ლარი

განმცხადებელი ქეთი დავითაძე

თარიღი: 14.06.2022წ

ხელმოწერა: ქ. დავითაძე. ქ. დავითაძე